ა(ა)იპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმის №7

ქ. თბილისი **2012 წლის 24 დეკემბერი**

სხდომას ესწრებოდა წარმომადგენლობითი საბჭოს 25 წევრი: 1. გაგნიძე ინეზა 2. თოდუა ნუგზარი 3. მექვაბიშვილი ელგუჯა 4. თუთბერიძე ბეჟანი 5. ომანაძე როლანდი 6. კერესელიძე დავითი 7. კახიანი გიორგი 8. კვერენჩხილაძე გიორგი 9. გალდავა გიორგი 10. მარგველიშვილი ვლადიმერი 11. თურქიაშვილი შორენა 12. მაცაბერიძე მალხაზი 13. შამილიშვილი მანანა 14. წერეთელი მარი 15. ჩოხელი ლევანი 16. ბარამიძე ცირა 17. ბახტაძე მიხეილი 18. გელოვანი ნანი 19. ლიჩელი ვახტანგი 20. ლორია კახაბერი 21. პაიჭაძე თამარი 22. ახლოური ბექა 23. გაიპარაშვილი ზურაბი (დანართი 1)

სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრები: 1. კვიტაშვილი ალექსანდრე (რექტორი) 2. გაფრინდაშვილი ნანი 3. ქურდაძე რამაზი 4. დავითაშვილი ზურაბი 5. გერსამია მარიამი 6. შენგელაია ალექსანდრე 7. ნადარაია ელიზბარი 8. სურგულაძე ნუგზარი 9. მარშავა ქეთევანი (დანართი 2)

დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდებაში ცვლილებების შეტანის საკითხი.

2. ა(ა)იპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის დამტკიცება.

3. ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - გენდერის კვლევის ინსტიტუტის შექმნის შესახებ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 22 ნოემბრის დადგენილება №112/2012–ის დამტკიცება.

4. ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - ინტერდისციპლინური პროგრამებისა და კვლევების განვითარების ცენტრის შექმნის შესახებ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 22 ნოემბრის დადგენილება №113/2012–ის დამტკიცება.

5. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 8 თებერვლის №7/2012 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 17 დეკემბრის დადგენილება №124/2012–ის დამტკიცება.

6. „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 22 თებერვლის №12/2012 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 17 დეკემბრის დადგენილება №127/2012–ის დამტკიცება.

7. „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 10 დეკემბრის №118/2012 დადგენილების დამტკიცება.

8. ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურაში ცვლილებების დამტკიცება.

9. ა(ა)იპ სასჯელის აღსრულების კვლევითი ცენტრის დაფუძნებაზე თანხმობის გაცემა.

10. სხვადასხვა.

დღის წესრიგი დამტკიცდა ერთხმად.

1. იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ, ბატონმა ვასილ ბარამიძემ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს გააცნო თსუ–ს წესდებაში ცვლილებების პროექტი და აღნიშნა, რომ მსგავსი პროექტი ერთხელ უკვე მიიღო წარმომადგენლობითმა საბჭომ, რის შემდეგაც იგი გადაეგზავნა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს. თუმცა სამინისტროს გარკვეული შენიშვნები გააჩნდა, რის გამოც პროექტი დაუბრუნდა უნივერსიტეტს განსახილველად. წარმოდგენილ ვარიანტში გათვალისწინებულია ყველა შენიშვნა, ასევე, გასწორდა რამდენიმე ტექნიკური ხარვეზი.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 23

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების ცვლილებების პროექტი (დანართი 3) და გადაეგზავნოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.

2. საფინანსო დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა ირაკლი საღარეიშვილმა წარმომადგენლობით საბჭოს გააცნო თსუ–ს 2013 წლის ბიუჯეტის პროექტი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის პროექტი შემუშავებულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ და სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე.

უნივერსიტეტის 2013 წლის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი, სახელმწიფო ბიუჯეტისა და შესაბამის კომერციულ ბანკებში გახსნილ ანგარიშზე მისაღები ყველა სახის ფულადი სახსრების ერთობლიობით განისაზღვრა 60 116 147 ლარის ოდენობით. რაც შეეხება ხარჯების საპროგნოზო მონაცემებს, იგი გაანგარიშებულია უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო და სხვა სტრუქტურული ერთეულების მიხედვით და ეყრდნობა საბიუჯეტო წლისათვის დასაქმებულთა საორიენტაციო ზღვრულ რიცხოვნებას,

სტრუქტურული ერთეულების ფუნქციონირებისათვის აუცილებელ დანახარჯებს. უნივერსიტეტის ბიუჯეტში, ფაკულტეტების მიერ გასაწევი ხარჯების პროექტები შეთანხმებულია ყველა ფაკულტეტის დეკანთან. შედეგად, ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი სულ განისაზღვრა 59 676 124 ლარით. ბიუჯეტში პრიორიტეტებად იქნა ასახული: აკადემიური (როგორც შტატით, ისე მოწვეული) პერსონალის შრომის ანაზღაურება; სასწავლო და საწარმოო პრაქტიკასთან დაკავშირებული ხარჯები; სამეცნიერო ექსპედიციები; სამეცნიერო კვლევების განვითარების ხარჯები; წარჩინებული ბაკალავრების, მაგისტრანტების, დოქტორანტების სწავლის საუნივერსიტეტო დაფინანსება; სტუდენტთა გაცვლით პროგრამებში,სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციებში, იმიტირებულ პროცესებში მონაწილეობის დაფინანსება და სხვა. ამდენად, თსუ–ს 2013 წლის ბიუჯეტი ორიენტირებულია აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურების მოწესრიგება-რაციონალიზაციისაკენ, სასწავლო პროცესის გაუმჯობესებასა და სწავლების მოტივაციის ამაღლებაზე.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი, ბატონი ელგუჯა მექვაბიშვილი დაინტერესდა, გარკვეულია თუ არა სახელმწიფო დაფინანსების საკითხი, რაზეც ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, ბატონმა დავით ჩომახიძემ განაცხადა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში სწორედ ახლა მიმდინარეობს უნივერსიტეტთათვის სახელმწიფო დაფინანსების გამოყოფის თაობაზე მსჯელობა.

აკადემიური საბჭოს წევრი, ქალბატონი ქეთევან მარშავა დაინტერესდა, თუ რამდენად მოხდება ამ ბიუჯეტში ფაკულტეტებისათვის სამეცნიერო კვლევებისთვის თანხის გამოყოფა. ბატონმა დავით ჩომახიძემ აღნიშნა, რომ ბიუჯეტის პროექტში დაახლოებით 400 000 ლარია გამოყოფილი ამ მიზნებისთვის და ვინაიდან სახელმწიფო გეგმავს მეცნიერებისკენ უფრო მეტი თანხა მიმართოს, არ გამოირიცხება დამატებითი თანხების მოზიდვაც. ამასთან, ყველა ფაკულტეტის წარმომადგენლებს, მაგალითად, იურიდიული და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტებს ნაკლებად აქვთ შესაძლებლობა, მიიღონ ეროვნული სამეცნიერო გრანტები, რის კომპენსირებასაც თავად უნივერსიტეტი მოახდენს საკუთარი ფინანსური შესაძლებლობებით. სახელმწიფო დაფინანსება 2011 წელს 2 მილიონამდე იყო, 2012 წელს კი საერთოდ შეწყდა, რადგან სახელმწიფომ უნივერსიტეტი ეკონომიკურად სტაბილურად მიიჩნია, რაც არასწორია. სამინისტროსთან მიმდინარეობს კონსულტაცია და სავარაუდოდ, 2013 წელს უნივერსიტეტს დაფინანსება გამოეყოფა.

რექტორმა, ბატონმა ალექსანდრე კვიტაშვილმა განაცხადა, რომ იგეგმება სამაგისტრო პროგრამებზე მისაღები სტუდენტების რაოდენობის ზრდა, რაც დამატებითი შემოსავალია, თუმცა სახელმწიფო დაფინანსების გარეშე, მხოლოდ სტუდენტებისგან შემოსული თანხებით წარმოუდგენელია ჯეროვანი ყურადღება მიექცეს სამეცნიერო კვლევას.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ბატონმა მალხაზ მაცაბერიძემ აღნიშნა, რომ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტმა ერთგვარი კვლევა ჩაატარა და შეეცადა, დაეთვალა საკუთარი ხარჯები, რომელმაც 3 მილიონზე მეტი შეადგინა. მომავალში, სასურველია, თუკი ფაკულტეტებისათვის გამოყოფილი თანხები შემოსავლების გათვალისწინებით გადანაწილდება და კიდევ უფრო გაიზრდება დაფინანსება. ასევე, მისასალმებელია ის გარემოება, რომ ფაკულტეტის საბჭოსთან

კონსულტაციის შედეგად, ადმინისტრაციის მიერ წარმოდგენილ ბიუჯეტის პროექტში სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტისათვის გამოყოფილი დაფინანსება თითქმის 800 000 ლარით გაიზარდა.

რექტორმა, ბატონმა ალექსანდრე კვიტაშვილმა დასძინა, რომ უნივერსიტეტი ერთიანი ორგანიზმია და ფაკულტეტების შემოსავლების გათვალისწინებით ვერ მოხერხდება თანხების განაწილება. მაგალითისთვის, იურიდიულ და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტებს, მათ შესამოვლებთან შედარებით, პროცენტულად გაცილებით ნაკლები თანხა აქვთ გამოყოფილი. უნივერსიტეტმა ე.წ. არარენტაბელურ მიმართულებებსაც უნდა მიაქციოს ყურადღება, როგორიცაა არმენოლოგია, კავკასიოლოგია და ა.შ. მედიცინის ფაკულტეტის შემოსავალი მხოლოდ წელს მიუახლოვდა მის ხარჯებს. საერთო შემოსავლები რაციონალურად, უნივერსიტეტის საერთო ინტერესის გათვალისწინებით ნაწილდება შესაძლებლობების ფარგლებში.

აკადემიური საბჭოს წევრის, ბატონ ალექსანდრე შენგელაიას განმარტებით, არცერთ სხვა ქვეყანაში სახელმწიფო უნივერსიტეტებს არ უწყდებათ სახელმწიფო დაფინანსება, რადგან სახელმწიფოს ინტერესი უნდა იყოს მეცნიერების განვითარება, რასაც ვერცერთი სახელმწიფო უნივერსიტეტი მხოლოდ სწავლის საფასურისგან შემოსული თანხებით ვერ მოახერხებს. იმედია, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მომავალში გამოყოფს საკმარის ფინანსებს.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 23

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიუჯეტის პროექტი. (დანართი 4)

3. პროფესორმა მარინე ჩიტაშვილმა წარმომადგენლობით საბჭოს გააცნო „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - გენდერის კვლევის ინსტიტუტის შექმნის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 22 ნოემბრის დადგენილება №112/2012. მისი განმარტებით, გენდერის მიმართულება ერთ–ერთი ყველაზე აქტუალურია მსოფლიოში. ამ მიმართულებით შესაძლებელია მნიშვნელოვანი გრანტებისა და დაფინანსების მოძიება. გენდერის მიმართულებით სასწავლო პროგრამების განვითარება უნივერსიტეტში 2004 წელს დაიწყო და მას შემდეგ მნიშვნელოვანი წინსვლა აქვს. გენდერის კვლევის ინსტიტუტი მიიღებს დაფინანსებას არსებული გრანტის ფარგლებში და იგი ფინანსურად უნივერსიტეტისგან არ საჭიროებს რაიმე თანხის გამოყოფას.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 23
წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - გენდერის კვლევის ინსტიტუტის შექმნის შესახებ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 22 ნოემბრის დადგენილება №112/2012. (დანართი 5)

4. პროფესორმა მარინე ჩიტაშვილმა წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს, ასევე, გააცნო „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - ინტერდისციპლინური პროგრამებისა და კვლევების განვითარების ცენტრის შექმნის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 22 ნოემბრის დადგენილება №113/2012 და განაცხადა, რომ ინტერდისციპლინური პროგრამებისა და კვლევების განვითარების ცენტრში 14 ინტერდისციპლინური პროგრამის აკუმულირება მოხდება. სტუდენტებს შესაძლებლობა მიეცემათ, გაიარონ ის პროგრამები, რომლებიც ერთგვარად „გაბნეულია“ სხვადასხვა ფაკულტეტზე. ცენტრი კოორდინაციას გაუწევს და უზრუნველყოფს ე.წ. ტრანსფერული უნარების განვითარებას. CSS ცენტრის განვითარებისთვის 20 000 აშშ დოლარს გამოჰყოფს, ამასთან, პრიორიტეტი იქნება საერთაშორისო გრანტებისა და დაფინანსების მოძიება.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:
მომხრე: 23
წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - ინტერდისციპლინური პროგრამებისა და კვლევების განვითარების ცენტრის შექმნის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 22 ნოემბრის დადგენილება №113/2012. (დანართი 6)

5. აკადემიური საბჭოსა და რექტორის აპარატის უფროსმა, ბატონმა ვასილ გონაშვილმა წარმოადგინა „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 8 თებერვლის №7/2012 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 17 დეკემბრის დადგენილება №124/2012. მისი განმარტებით, იმ აკადემიურ პერსონალს, რომლებიც „ა“ კატეგორიას განეკუთვნებიან, უფლება არა აქვთ სხვაგან იმუშავონ. დადგენილება გამონაკლისს ადგენს იმ პირთათვის, რომლებიც კანონის საფუძველზე

სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების სამეურვეო საბჭოს წევრები არიან და რომელთაც გააჩნიათ მხოლოდ ჰონორარისა და კანონით განსაზღვრული ფუნქციების შესრულების ხარჯების ანაზღაურების უფლება. მსგავსი სამეურვეო საბჭოს წევრობა არ არის სამსახური, ამასთან, შესაძლებელია სამეურვეო საბჭო წელიწადში მხოლოდ რამდენჯერმე შეიკრიბოს. შესაბამისად, გამართლებულია, რომ ამგვარი გამონაკლისი გაითვალისწინოს უნივერსიტეტმა.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ბატონმა გიორგი კვერენჩხილაძემ განაცხადა, რომ მსგავსი დადგენილების მიღებით ძალიან საშიში პრეცედენტი იქმნება, რომელიც მომავალში მნიშვნელოვან გართულებებს გამოიწვევს. ასევე, გაუგებარია, რატომაა საჭირო გამონაკლისის დადგენა მხოლოდ სამეურვეო საბჭოთა კონკრეტულ სახეზე და არა ზოგადად ყველა კოლეგიურ ორგანოზე, რომელთა მუშაობის სპეციფიკაც არ გულისხმობს მის წევრთა მუდმივ დატვირთვას. ამასთან, დაუდგენელია რას ნიშნავს ჰონორარი და რით განსხვავდება იგი თანამდებობრივი სარგოსა და ხელფასისაგან. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ეს დადგენილება კონკრეტული პირის კერძო ინტერესებს ემსახურება, რაც არაა მისასალმებელი და წარმომადგენლობითმა საბჭომ არ უნდა დაუჭიროს მას მხარი.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ბატონმა ელგუჯა მექვაბიშვილმა განაცხადა, რომ ბატონი გიორგი კვერეჩხილაძის მოსაზრები ლოგიკური და მართებულია, ამგვარი გამონაკლისი დაუშვებელია. წარმომადგენლობითი საბჭო კი იმისათვის არსებობს, რომ უნივერსიტეტის საერთო ინტერესები განახორციელოს.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 1

წინააღმდეგი: 22

მიღებული გადაწყვეტილება: არ დამტკიცდეს „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 8 თებერვლის №7/2012 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 17 დეკემბრის დადგენილება №124/2012. (დანართი 7)

6. ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა, ბატონმა ზურაბ გაიპარაშვილმა წარმომადგენლობით საბჭოს გააცნო „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 22 თებერვლის №12/2012 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 17 დეკემბრის დადგენილება №127/2012, რომლის თანახმად ბიბლიოთეკის სტრუქტურას ემატება სიმონ ყაუხჩიშვილის სახელობის სამკითხველო დარბაზი. აღნიშნული ცვლილება არ გამოიწვევს რაიმე სახის დამატებითი ფინანსების გამოყოფას.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 23

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 22 თებერვლის №12/2012 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 17 დეკემბრის დადგენილება №127/2012. (დანართი 8)

7. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ქალბატონმა თამარ ვეფხვაძემ წარმოადგინა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების პროექტი და განაცხადა, რომ პროექტში „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და თსუ–ს წესდების მოთხოვნებია გათვალისწინებული, იგი იურიდიული და ტექნიკური თვალსაზრისით, გამართულია და მნიშვნელოვან სტრუქტურულ ცვლილებებს არ ითვალისწინებს, სამსახურს მხოლოდ დაემატა სამსახურის უფროსის მოადგილის თანამდებობა. აკადემიური საბჭოს მიერ უკვე მიღებულია დებულების პროექტი და საჭიროებს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებას.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 23

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 10 დეკემბრის დადგენილება №118/2012. (დანართი 9)

8. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა, ქალბატონმა დარეჯან თვალთვაძემ წარმომადგენლობით საბჭოს გააცნო ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტრუქტურაში ცვლილებების პროექტი და აღნიშნა, რომ სტრუქტურას ემატება მხოლოდ პროფესორის ასისტენტის თანამდებობა. პროფესორის ასისტენტის რამდენიმე შტატის შემოღება ლაბორანტების თავისუფალი ადგილების ხარჯზე მოხდება და არ გამოიწვევს დამატებით ფინანსურ დანახარჯებს. აღნიშნული თანამდებობა სამეცნიერო იქნება და ასისტენტები დაეხმარებიან ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალს.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 23

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს ცვლილებები თსუ–ს ადმინისტრაციის (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის) სტრუქტურაში. (დანართი 10)

9. თსუ–ს იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა, ბატონმა ირაკლი ბურდულმა წარმომადგენლობით საბჭოს გააცნო გადაწყვეტილება ა(ა)იპ „სასჯელის აღსრულების კვლევითი ცენტრის“ შექმნის შესახებ და აღნიშნა, რომ ცენტრი იქმნება თსუ–სა და სსიპ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის თანამშრომლობის საფუძველზე. შემუშებულია ცენტრის წესდება, რომელშიც დეტალურადაა გაწერილი მისი მიზნები, საქმიანობის ფორმები და დაფინანსება. ცენტრის შექმნა უნივერსიტეტს ფინანსურ ვალდებულებებს არ აკისრებს. საჯარო რეესტრში რეგისტრაციისათვის აუცილებელია, რომ წარმომადგენლობითმა საბჭომ თანხმობა გასცეს ა(ა)იპ „სასჯელის აღსრულების კვლევითი ცენტრის“ შექმნის თაობაზე და რამდენიმე პირს მისცეს უფლებამოსილება, აღნიშნული გადაწყვეტილება დაადასტუროს საჯარო რეესტრში.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ბატონმა ელგუჯა მექვაბიშვილმა განაცხადა, რომ მისასალმებელია მსგავსი კვლევითი ცენტრების შექმნა, რომლებიც დაფინანსებას თავად მოიძიებენ და განახორციელებენ კვალიფიციურ კვლევას.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 23

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: 1. გაიცეს თანხმობა ა(ა)იპ „სასჯელის აღსრულების კვლევითი ცენტრის“ დაფუძნების თაობაზე. 2. ა(ა)იპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს: გიორგი კვერენჩხილაძესა და გიორგი კახიანს, წარმომადგენლობითი საბჭოს აპარატის უფროსს, დიმიტრი გეგენავას მიეცეთ უფლებამოსილება, წარმომადგენლობითი საბჭოს თანხმობა დაადასტურონ თავიანთი ხელმოწერებით სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შესაბამის დაწესებულებაში.

10. წარმომადგენლობითი საბჭოს აპარატის უფროსმა, დიმიტრი გეგენავამ წარმომადგენლობით საბჭოს მოახსენა, რომ საბჭოს სახელზე შემოსულია წერილი თსუ–ს პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტიდან ინსტიტუტის სტრუქტურის ცვლილების თაობაზე. თუმცა, ვინაიდან შემოერთებული ინსტიტუტების სტრუქტურა და დებულება

უნივერსიტეტის მიერ ჯერჯერობით დამტკიცებული არაა, წარმომადგენლობითი საბჭოს გადასაწყვეტია, თუ რა მსვლელობას მისცემს მას.

წარმომადგენლობითმა საბჭომ იმსჯელა ამ საკითხთან დაკავშირებით და გადაწყდა, რომ შემოერთებული ინსტიტუტების სტრუქტურა დამტკიცდეს მათ დებულებებთან ერთად. ნებისმიერი სტრუქტურული ცვლილება აისახოს დებულების პროექტში. წარმომადგენლობითმა საბჭომ უარი განაცხადა საკითხთან დაკავშირებით კენჭისყრაზე.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი: კ. ლორია

წარმომადგენლობითი საბჭოს
აპარატის უფროსი: დ. გეგენავა

ა(ა)იპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა

2012 წლის 24 დეკემბერი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

პროფესორები:

- გაგნიძე ინეზა
- თოდუა ნუგზარი
- მექვაბიშვილი ელგუჯა

სტუდენტები:

- კარტოზია გიორგი
- მესხორაძე გიორგი
- ჩაბაკაური გიორგი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- გეგეჭკორი არნოლდი
- ელიაშვილი მერაბი
- თუთბერიძე ბეჟანი
- ომანაძე როლანდი
- ხაჩიძე მანანა

- კერესელიძე დავითი

სტუდენტები:

- გუბაძე ვასილი
- ჭლიკაძე გივი

იურიდიული ფაკულტეტი

პროფესორები:

- კახიანი გიორგი
- კვერენჩხილაძე გიორგი

სტუდენტები:

- ბენდელიანი ბექა
- პაპაშვილი თამარი
- ჭალიძე ივერი

მედიცინის ფაკულტეტი

პროფესორები:

- გალდავა გიორგი
- მარგველიშვილი ვლადიმერი
- ფაღავა ზურაბი

სტუდენტები:

- ცინცაძე ნინო

- ფაკულტეტის შეკრება - 24.12.2012

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- თურქიაშვილი შორენა
- მაცაბერიძე მალხაზი
- შამილიშვილი მანანა
- წერეთელი მარი

სტუდენტები:

- ნახუცრიშვილი კონსტანტინე
- ჩოხელი ლევანი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები

- ბარამიძე ცირა
- ბახტაძე მიხეილი
- ბრაჭული ირაკლი
- გელოვანი ნანი
- ლიჩელი ვახტანგი
- ლორია კახაბერი
- პაიჭაძე თამარი

სტუდენტები:

- ახლოური ბექა
- ზივზივაძე ვახტანგი

- ჯღამაძე უჩა

თსუ–ს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი

- გაიპარაშვილი ზურაბი

ა(ა)იპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრების სია

2012 წლის 24 დეკემბერი

- კვიტაშვილი ალექსანდრე (რექტორი)
- გაფრინდაშვილი ნანი
- ქურდაძე რამაზი
- დავითაშვილი ზურაბი
- გერსამია მარიამი
- შენგელაია ალექსანდრე
- ნადარაია ელიზბარი
- კოპალეიშვილი მაია
- სურგულაძე ნუგზარი
- გველესიანი რევაზი
- მარშავა ქეთევანი
- თოდუა ფრიდონი
- მანაგაძე ლავრენტი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის
ბრძანება №-/ნ
2012 წლის - ოქტომბერი ქ. თბილისი

,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 28 დეკემბერის №208/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1.

,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 28 დეკემბერის №208/ნ ბრძანებით (ვებგვერდი, 111228011, 28/12/2011, სარეგისტრაციო კოდი 430210000.22.022.016245) დამტკიცებულ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდებაში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

ა) წესდების მე-2 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. უნივერსიტეტი არის საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე მოქმედი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი. უნივერსიტეტზე და მის მიერ განხორციელებად საქმიანობაზე ვრცელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ინფორმაციის თავისუფლების ნორმები."

ბ) წესდების მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,**მუხლი 8. აკადემიური საბჭოს უფლებამოსილება**

1. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად:

ა) ამტკიცებს უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმას;

ბ) ფაკულტეტის წარდგინებით ამტკიცებს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს, ფაკულტეტების განვითარების სტრატეგიულ გეგმას;

გ) ხელს უწყობს უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში ინტეგრაციას, სასწავლო გეგმებისა და პროგრამების, სამეცნიერო კვლევების პროგრამების შექმნას, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის თანამშრომლობასა და მობილობას;

დ) თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარეს, უნივერსიტეტის ხელმძღვანელს – რექტორს;

ე) მონაწილეობს უნივერსიტეტის წესდების, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატურის, უნივერსიტეტის განვითარების ფონდის ხელმძღვანელის კანდიდატურის, უნივერსიტეტის ბიუჯეტისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წლიური ანგარიშის წარმომადგენლობით საბჭოზე განხილვაში;

ვ) სასწავლო წლის დასაწყისში ამტკიცებს კოეფიციენტებს ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის, აგრეთვე, ძირითად საგანმანათლებლო ერთეულებში მისაღებ სტუდენტთა რაოდენობას, ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების საბჭოების წარდგინებით;

ზ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესით ამტკიცებს სამაგისტრო გამოცდის კოეფიციენტებს სამაგისტრო გამოცდებისთვის, აგრეთვე, ფაკულტეტზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობას, ფაკულტეტის საბჭოების წარდგინებით;

თ) აწესებს მინიმალური კომპეტენციის ზღვარს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული საერთაშორისო გამოცდების ჩამონათვალით გათვალისწინებულ გამოცდაში ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით;

ი) ადგენს სხვა აკრედიტებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული უმაღლესი და პროფესიული განათლების კრედიტების აღიარების წესს;

კ) ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს სადისერტაციო საბჭოს დებულებას;

ლ) რექტორს დასანიშნად წარუდგენს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს;

მ) ადგენს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიან წესს, შრომის ანაზღაურების ოდენობასა და პირობებს;

ნ) წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურების ოდენობასა და პირობებს;

ო) იღებს გადაწყვეტილებას აკადემიური პერსონალის პროფესორთა თანამდებობებზე არჩევისა და შრომითი ხელშეკრულების ვადის გაგრძელების შესახებ;

პ) მონაწილეობს უნივერსიტეტის სტრუქტურის წარმომადგენლობით საბჭოზე განხილვაში;

ჟ) ფაკულტეტის საბჭოს წარდგინების საფუძველზე გადაწყვეტილებას იღებს საპატიო დოქტორისა და ემერიტუსის წოდების მინიჭების შესახებ;

რ) შეიმუშავებს და წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევის წესს;

ს) ირჩევს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელს;

ტ) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინებით ამტკიცებს უნივერსიტეტში სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესს;

უ) იღებს უნივერსიტეტის წესდების 49-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას;

ფ) რექტორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, რექტორის ხელახალ არჩევამდე, მაგრამ არაუმეტეს 6 თვის ვადით, ნიშნავს რექტორის მოვალეობის შემსრულებელს;

ქ) იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო ერთეულებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების შექმნისა და გაუქმების შესახებ და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს;

ღ) ამტკიცებს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს საქმიანობისა და თავმჯდომარის არჩევის წესს;

ყ) განსაზღვრავს პროფესორის პედაგოგიური დატვირთვის ზღვრულ ოდენობას;

შ) ამტკიცებს სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესს;

ჩ) დადგენილებით იღებს ფაკულტეტების, დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულების და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების დებულებებს და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს;

ც) ამტკიცებს ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურის მოწყობის ერთიან მოდელს;

ძ) იღებს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებას და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს;

წ) უფლებამოსილია, რექტორის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის, რექტორისათვის დაკისრებული მოვალეობების არასათანადოდ შესრულების, ან/და რექტორისათვის შეუფერებელი საქმიანობის განხორციელების საფუძვლით, აკადემიური საბჭოს წევრების არანაკლებ 1/3-ის მოთხოვნით განიხილოს რექტორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი. გადაწყვეტილება რექტორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე მიიღება ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. რექტორი ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ კენჭისყრებში არ მონაწილეობს. ამ საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრება არ იწვევს სადავო აქტის მოქმედების შეჩერებას;

ჭ) ქმნის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად შესარჩევ საკონკურსო კომისიებს, ამტკიცებს მათ შემადგენლობასა და კომისიის მუშაობის შედეგებს;

ხ) უნივერსიტეტის წესდებით გათვალისწინებული და სხვა გადაუდებელი საკითხების გადაწყვეტის მიზნით, უფლებამოსილია საბჭოს წევრებისაგან, ხმათა უმრავლესობით, შექმნას დროებითი კომისიები. კომისია ამზადებს საკითხს და განსახილველად გამოაქვს აკადემიური საბჭოს სხდომაზე;

ჯ) უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში მოიწვიოს ექსპერტი;

ჰ) აწესებს უნივერსიტეტის მედლებს, ჯილდოებსა და პრემიებს, ამტკიცებს მათი მიღების პირობებსა და წესს.

2. თუ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღება დაკავშირებულია ფინანსურ და ეკონომიკურ საკითხებთან, მის მისაღებად აუცილებელია უნივერსიტეტის ადმინისტრაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ფინანსური და სამართლებრივი დასაბუთების არსებობა.

გ) წესდების 29-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 29. ფაკულტეტის საბჭოს უფლებამოსილება

ფაკულტეტის საბჭო:

ა) განსაზღვრავს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენს ფაკულტეტის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის პროექტს;

ბ) დეკანის წარდგინებით განიხილავს და უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმას, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს;

გ) დეკანის წარდგინებით განიხილავს ფაკულტეტის დებულებას, რომელიც უნდა მოიცავდეს ფაკულტეტის სტრუქტურას და განსახილველად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს;

დ) შეიმუშავებს სადისერტაციო საბჭოს დებულებას და დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს;

ე) ფაკულტეტის დეკანს დასანიშნად წარუდგენს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის კანდიდატურას;

ვ) უნივერსიტეტის რექტორს მიმართავს დასაბუთებული წარდგინებით აკადემიური პერსონალის მიერ სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულების გამოყენების თაობაზე;

ზ) დეკანის მიერ თავის უფლებამოსილებათა განხორციელებისას საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის, დეკანისათვის დაკისრებული მოვალეობების არასათანადოდ შესრულების ან/და დეკანისათვის შეუფერებელი საქმიანობის განხორციელების საფუძვლით, ფაკულტეტის საბჭოს წევრების არანაკლებ 1/3-ის მოთხოვნით უნივერსიტეტის რექტორს წარუდგენს დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის წინადადებას.

აღნიშნული გადაწყვეტილება მიიღება სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. დეკანი ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ კენჭისყრებში არ მონაწილეობს.“

დ) წესდების 30-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-6 ქვეპუნქტი:

,,6. დეკანის მიერ თავის უფლებამოსილებათა განხორციელების დროებით შეუძლებლობის შემთხვევაში, დეკანის მოვალეობის შემსრულებლის განსაზღვრის შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტის არარსებობის შემთხვევაში, მის მოვალეობას ავტომატურად ასრულებს დეკანის მოადგილე საფინანსო-ეკონომიკურ სფეროში, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში კი დეკანის მოადგილე საგანმანათლებლო-სამეცნიერო სფეროში.“

ე) წესდების 39-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 39. ფაკულტეტის საბჭოს არჩევის წესი

1. ფაკულტეტის საბჭო არის ფაკულტეტის წარმომადგენლობითი ორგანო, რომლის შემადგენლობაში შედის შესაბამისი ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი ფაკულტეტზე არსებული სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულებიდან და სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები.
2. ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელთა რაოდენობა შეადგენს საბჭოს წევრ აკადემიური პერსონალის 1/4-ს, დამრგვალება ხდება სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელთა სასარგებლოდ.“

ვ) წესდების 44-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 44. უნივერსიტეტის პერსონალი

1. უნივერსიტეტში არსებობს ადმინისტრაციული, აკადემიური, სამეცნიერო, მასწავლებელთა და დამხმარე თანამდებობები.
2. უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ, აკადემიურ, სამეცნიერო და დამხმარე თანამდებობებზე პირი მოვალეობის შემსრულებლის სტატუსით შესაძლებელია დასაქმებული იქნას არაუმეტეს 12 თვის ვადით, გარდა კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის წესდებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.“

ზ) წესდების 50-ე მუხლის ,,დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,დ) პროფესიული განვითარების მიზნით, 5 წელიწადში ერთხელ, აკადემიური თანამდებობის დაკავებიდან 1 აკადემიური წლის შემდეგ, აიღოს ანაზღაურებადი სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულება არა უმეტეს 10 თვის ვადით. იმ პერსონალის

მიმართ, რომელიც აკადემიურ თანამდებობას დაიკავებს ზედიზედ მეორე ან მომდევნო ვადით, ამ პუნქტით გათვალისწინებული ერთწლიანი შეზღუდვა არ ვრცელდება.“

თ) წესდების 62-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 62. აკადემიური ხარისხის მინიჭება და განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემა

1. აკადემიური უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურის დამთავრებისას უნივერსიტეტი პირს ანიჭებს შესაბამის აკადემიურ ხარისხს.
2. სწავლის ყოველი საფეხურის გავლის შემდეგ გაიცემა სათანადო დიპლომი სტანდარტული დანართით.
3. პირს, რომელმაც არ ან ვერ დაასრულა შესაბამისი საგანმანათლებლო საფეხური, ეძლევა სათანადო მოწმობა.“

ი) წესდების 64-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,2. უნივერსიტეტი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უფლებამოსილია დააფუძნოს კერძო სამართლის სამეწარმეო (კომერციული) და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირები.“

კ) წესდების 68-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 68. უნივერსიტეტის ქონების განკარგვა

უნივერსიტეტის საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების ან მისი ნაწილის გასხვისება, დატვირთვა ან სარგებლობაში გაცემა საჭიროებს უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებას და რეგენტთა საბჭოს თანხმობას.“

ლ) წესდების 72-ე მუხლის მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,8. ამ წესდების 54-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტი ამოქმედდეს 2014 წლის 1 იანვრიდან.”

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

გ. მარგველაშვილი

ა(ა)იპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2013 წლის ბიუჯეტი

მოსალოდნელი შემოსავლები	ლარი
სასწავლო გრანტი	17 758 605
ეკონომიკური საქმიანობა	25 377 141
სახელმწიფო ბიუჯეტის მიზნობრივი დაფინანსება	300 000
სახელმწიფო ბიუჯეტი (სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები)	4 397 290
სახელმწიფო (პრეზიდენტის) სტიპენდია	518 400
2012 წლის გარდამავალი ნაშთი	5 000 000
ჯამი	**53 351 436**

სულ მოსალოდნელი გრანტები გარდამავალი ნაშთის ჩათვლით	**6 764 711**
ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტები	**1 994 711**
საერთაშორისო გრანტები	**4 210 000**
ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის გრანტები	**560 000**
სულ შემოსავალი	**60 116 147**

ა(ა)იპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2013წლის ბიუჯეტის ხარჯები

დასახელება	ლარი
1	2
მთლიანი ასიგნებები	59 676 124
ხარჯები	58 578 453
შრომის ანაზღაურება	25 316 814
ხელფასები	25 316 814
საქონელი და მომსახურება	28 927 639
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	16 847 014
მივლინება	1 119 721
ოფისის ხარჯები	5 623 223
წარმომადგენლობითი ხარჯები	899 532
კვების ხარჯები	5 000
რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები	70 000
ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	384 166
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	3 978 983
გრანტები	1 300 000
სხვა ხარჯები	3 034 000
არაფინანსური აქტივების ზრდა(ძირითადი აქტივები)	1 097 671
შენობა ნაგებობები	200 000
მანქანა დანადგარები და ინვენტარი	897 671
გარდამავალი ნაშთი	440 023

წარმომადგენლობითი საბჭოს ოქმი №7, დანართი 5.

დადგენილება №112/2012
22 ნოემბერი, 2012

ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - გენდერის კვლევის ინსტიტუტის შექმნის შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 28 დეკემბრის №220/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელწმიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-7 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, მე–8 მუხლის „ქ" და „ჩ" ქვეპუნქტების, მე–17 მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 13 მარტის №17/2012 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ც" და „ხ" ქვეპუნქტების საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შეიქმნას „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეული - გენდერის კვლევის ინსტიტუტი".

2. დამტკიცდეს „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - გენდერის კვლევის ინსტიტუტის" დებულება (დანართი №1).

3. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.

4. დადგენილების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსების უზრუნველყოფა დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას.

5. დადგენილება ძალაში შევიდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ალექსანდრე კვიტაშვილი
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი

<u>დანართი №1</u>

ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - გენდერის კვლევის ინსტიტუტის

დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) გენდერის კვლევის ინსტიტუტი (შემდგომში „ინსტიტუტი“) წარმოადგენს უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც უზრუნველყოფს გენდერის მიმართულებით არსებული აკადემიური პროგრამებისა და სამეცნიერეო პროექტების ხელშეწყობასა და ადმინისტრირებას.
2. ცენტრს აქვს საკუთარი ანგარიში, ბლანკი თსუ-ის ლოგოთი, რომლის გამოყენება ხდება ინსტიტუტის დირექტორის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით.
3. ინსტიტუტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და ამ დებულებით.

მუხლი 2. ინსტიტუტის მიზნები და კომპეტენციები

1. ინსტიტუტის მიზნებია:

ა) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გენდერის მიმართულების ინტერდისციპლინური კვლევისა და სწავლების განვითარება;

ბ) გენდერის პრობლემებზე მომუშავე აკადემიური პერსონალისა და სადოქტორო სტუდენტების თანამშრომლობისათვის ინსტიტუციური პლატფორმის უზრუნველყოფა;

გ) გენდერის კვლევის სასწავლო საგნების ინტეგრაცია უნივერსიტეტში არსებულ სასწავლო პროგრამებსა და კვლევებში;

დ) უნივერსიტეტის სტუდენტების, პროფესორების, ადმინისტრაციული პერსონალისა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება გენდერული უთანასწორობის პრობლემებისა და მათი დაძლევის გზების შესახებ;

ე) გენდერის კვლევის სფეროში სამეცნიერო კვლევითი პროექტების განხორციელება;

ვ) უნივერსიტეტის გენდერის მიმართულების აკადემიური პროგრამების (უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე) სწავლების ხელშეწყობა/განვითარება;

ზ) გენდერის სფეროში სამეცნიერო კონფერენციებისა და სხვა აქტივობების ორგანიზება;

თ) სამეცნიერო გამოცემების (პერიოდული და ერთჯერადი) ინიცირება, ორგანიზება, განხორციელება;

ი) უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით საერთაშორისო აკადემიური კავშირების დამყარება და განვითარება ინსტიტუტის კომპეტენციის ფარგლებში;
კ) საზოგადოებაში გენდერული უთანასწორობების მიმართ მგრძნობელობისა და მათი აღმოფხვრის გზების შესახებ ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით სხვადასხვა ტიპის ღონისძიებების ჩატარება (საკომუნიკაციო კამპანიების, საჯარო ლექციების, სადისკუსიო კლუბების, გამოფენების, ფილმების ჩვენების ორგანიზება
და სხვა);
ლ) უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით ადგილობრივ და საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან კავშირების დამყარება/განვითარება გენდერის კვლევის აკადემიური პროგრამების შრომის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნების უზრუნველყოფის მიზნით;
მ) ადგილობრივ და საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, აგრეთვე, კერძო სექტორისთვის სხვადასხვა ტიპის ექსპერტული სერვისის შეთავაზება (სამოქმედო კურსის, პუბლიკაციის, პროექტის, ორგანიზაციული სტრუქტურის და ა.შ. გენდერული თანასწორობის თვალსაზრისით გენდერული ექსპერტიზა; გენდერის მნიშვნელოვან პრობლემებზე ორიენტირებული ტრენინგები; ამავე მიზნის მქონე სხვდასხვა ტიპის პუბლიკაციებისა თუ სხვა საკომუნიკაციო პროდუქტების მომზადება; საზოგადოების გამოყენებითი კვლევების დაგეგმვა და განხორციელება და სხვა.).

2. ინსტიტუტის კომპეტენციები:
ა) გენდერის მიმართულებით არსებული აკადემიური პროგრამების ჩამონათვალი, რომლებსაც კოორდინირებას უწევს ინსტიტუტი განისაზღვრება შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე გამოცემული უნივერსიტეტის რექტორის სამართლებრივი აქტით.
ბ) განავითაროს აკადემიური პროგრამები გენდერის კვლევაში საბაკალვრო, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურზე;
გ) განახორციელოს სამეცნიერო და გამოყენებითი კვლევები;
დ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ითანამშრომლოს სხვა უნივერსიტეტებთან ან/და მათ სტრუქტურულ ერთეულებთან, სამეცნიერო ფონდებთან, სხვადასხვა ტიპის აკადემიური თუ გამოყენებითი პროექტების განსახორციელებლად;
ე) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ხელი შეუწყოს უნივერსიტეტში ისეთი პირობების შექმნას, რომელიც სტუდენტს დაეხმარება სწავლასა და დამოუკიდებელ კვლევაში.
ვ) ხელი შეუწყოს თანამედროვე სტანდარტების შესატყვისი, მომავალზე ორიენტირებული განათლების მიღების შესაძლებლობას გენდერის კვლევის მიმართულებით და იზრუნოს სასწავლო პირობების გაუმჯობესებაზე;
ზ) ინსტიტუტი ვალდებულია, ხელი შეუწყოს გენდერის მიმართულებით კვლევის განვითარებას და დაფინანსების სხვადასხვა წყაროების მოზიდვას.

მუხლი 3. ინსტიტუტის სტრუქტურა

1. ინსტიტუტს ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელიც ზედამხედველობას უწევს ინსტიტუტის მუშაობას.
2. ინსტიტუტის დირექტორს, გენდერის მიმართულების აკადემიური პერსონალიდან, ორი წლის ვადით, თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.
3. ინსტიტუტის ყოველდღიურ საქმიანობას განაგებს გენდერის კვლევის ინსტიტუტის ადმინისტრატორი, რომელსაც ცენტრის დირექტორის წარდგინებით ნიშნავს უნივერსიტეტის რექტორი.
4. ინსტიტუტის დირექტორის მიერ თავის უფლებამოსილებათა განხორციელების დროებით შეუძლებლობის შემთხვევაში, მის უფლებამოსილებებს რექტორის თანხმობით ასრულებს ადმინისტრატორი.
5. ინსტიტუტის წევრი შეიძლება იყოს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, სადოქტორო პროგრამის სტუდენტი, გენდერის კვლევის აკადემიურ ან კვლევით პროგრამაში დასაქმებული მოწვეული ლექტორი.
6. ინსტიტუტის მმართველი ორგანოა საბჭო, რომელიც აერთიანებს ინსტიტუტის წევრ აკადემიურ პერსონალს, გენდერის მიმართულების პროგრამის სადოქტორო სტუდენტების ერთ წარმომადგენელს და გენდერის პროგრამის მოწვეული ლექტორების ერთ წარმომადგენელს.
7. დაფუძნების ეტაპზე ინსტიტუტის საბჭოს შემადგენლობაში შედიან უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის ის წარმომადგენლები, ვინც შეადგენს ცენტრის შექმნის საინიციატივო ჯგუფს.

მუხლი 4. ინსტიტუტის ქონება

თავის ფუნქციათა განსახორციელებლად ცენტრი სარგებლობს უნივერსიტეტის უძრავი და მოძრავი ქონებით.

მუხლი 5. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

ცენტრის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება მისი მიღებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 6. დასკვნითი დებულებები

ინსტიტუტის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია, სხვა სტრუქტურული ცვლილებები და წინამდებარე დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის საკითხი რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით დაგენილი წესით.

დადგენილება №113/2012
22 ნოემბერი, 2012

ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - ინტერდისციპლინური პროგრამებისა და კვლევების განვითარების ცენტრის შექმნის შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 28 დეკემბრის №220/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელწმიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-7 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, მე–8 მუხლის „ქ" და „ჩ" ქვეპუნქტების, მე–17 მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 13 მარტის №17/2012 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ც" და „ხ" ქვეპუნქტების საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შეიქმნას „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეული - ინტერდისციპლინური პროგრამებისა და კვლევების განვითარების ცენტრი".

2. დამტკიცდეს „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - ინტერდისციპლინური პროგრამებისა და კვლევების განვითარების ცენტრის" დებულება (დანართი №1).

3. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.

4. დადგენილების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსების უზრუნველყოფა დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას.

5. დადგენილება ძალაში შევიდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ალექსანდრე კვიტაშვილი
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი

<u>დანართი №1</u>

ა(ა)იპ– ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - ინტერდისციპლინური პროგრამებისა და კვლევების განვითარების ცენტრის

დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. (ა (ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - ,,უნივერსიტეტი“) ინტერდისციპლინური პროგრამებისა და კვლევების განვითარების ცენტრი (შემდგომში „ცენტრი“) წარმოადგენს უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც კოორდინირებას უწევს ინტერდისციპლინურ სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებს.
2. ცენტრის ოფიციალური სახელწოდებაა ,,ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინტერდისციპლინური პროგრამებისა და კვლევების განვითარების ცენტრი”.
3. ცენტრს აქვს საკუთარი ანგარიში, ბლანკი უნივერსიტეტის ლოგოთი, რომლის გამოყენება ხდება ცენტრის დირექტორის მიერ უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით.
4. ცენტრი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და ამ დებულებით.

მუხლი 2. ცენტრის მიზნები და კომპეტენციები

1. ცენტრის მიზანია:

ა) ინტერდისციპლინური სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ერთიანი ადმინისტრაციული სტრუქტურის შექმნაზე რეკომენდაციების მომზადება;

ბ) უნივერსიტეტის ინტერდისციპლინური სასწავლო პროგრამების კოორდინირება;

გ) ცენტრის კომპეტენციის ფარგლებში საერთაშორისო და ეროვნულ სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან აკადემიური კავშირების დამყარება და აკადემიური თანამშრომლობის განვითარება;

დ) უნივერსიტეტში საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებით ინტერდისციპლინური საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა და გაუმჯობესება, მათი განხორციელების კოორდინაცია;
ე) კონფერენციებისა და სამეცნიერო სემინარების/ტრენინგების ორგანიზება;
ვ) აკადემიური პერსონალის მომზადებაში და გადამზადებაში მონაწილეობის მიღება;
ზ) უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტების გათვალისწინებით ტრანსფერული უნარების ელემენტების შესახებ რეგულაციების შემუშავება.

2. ცენტრის კომპეტენციები:
ა) ინტერდისციპლინური სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ჩამონათვალი, რომლებსაც კოორდინირებას უწევს ცენტრი განისაზღვრება შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე გამოცემული უნივერსიტეტის რექტორის სამართლებრივი აქტით.
ბ) უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით ცენტრი თავის კომპეტენციის ფარგლებში თანამშრომლობს სხვა უნივერსიტეტებთან და/ან მათ სტრუქტურულ ერთეულებთან, სამეცნიერო ფონდებთან, სხვადასხვა ტიპის აკადემიური თუ გამოყენებითი პროექტების განსახორციელებლად.
გ) ცენტრი უფლებამოსილია, კანონმდებლობით დადგენილი წესით, განახორციელოს საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული დამხმარე საქმიანობა, მათ შორის საპროექტო საქმიანობა.
დ) აკადემიური საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით ცენტრი იწვევს საერთაშორისო და ადგილობრივ ექსპერტებს.

მუხლი 3. ცენტრის სტრუქტურა

1. ცენტრს ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელიც წარმართავს ცენტრის მუშაობას, თავისი კომპეტენციის ფარგლებში ხელს უწყობს კონტაქტების განვითარებას საქართველოსა და უცხო ქვეყნების სამეცნიერო და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან.
2. ცენტრის დირექტორს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.
3. ცენტრის ყოველდღიურ საქმიანობას კოორდინაციას უწევს ადმინისტრატორი, რომელსაც ცენტრის დირექტორის წარდგინებით ნიშნავს უნივერსიტეტის რექტორი.
4. ცენტრის დირექტორის მიერ თავის უფლებამოსილებათა განხორციელების დროებით შეუძლებლობის შემთხვევაში, მის უფლებამოსილებებს ასრულებს ადმინისტრატორი.

5. ცენტრის პოლიტიკას განსაზღვრავს ცენტრის საბჭო. საბჭო შედგება ცენტრში გაერთიანებული ინტერდისციპლინური სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელებისაგან. საბჭოში სათათბირო ხმის უფლებით ერთიანდებიან უნივერსიტეტის ფაკულტეტების წარმომადგენლები შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოების წარდგინებით. საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს კენჭისყრით, ხმის უბრალო უმრავლესობით.

მუხლი 4. ცენტრის ქონება

თავის ფუნქციათა განსახორციელებლად ცენტრი სარგებლობს უნივერსიტეტის უძრავი და მოძრავი ქონებით.

მუხლი 5. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

ცენტრის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება მისი მიღებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 6. დასკვნითი დებულებები

ცენტრის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია, სხვა სტრუქტურული ცვლილებები და წინამდებარე დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის საკითხი რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით დაგენილი წესით.

დადგენილება №124/2012
17 დეკემბერი, 2012

„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 8 თებერვლის №7/2012 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 28 დეკემბრის №208/ნ ბრძანებით დამტკიცებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე–8 მუხლის პირველი პუნქტის „მ“ და ,,ნ“ ქვეპუნქტების, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 13 მარტის №17/2012 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 8 თებერვლის №7/2012 დადგენილებით დამტკიცებულ №2, №3, №4, №5 და №6 დანართებში ნაცვლად სიტყვებისა „(გარდა უნივერსიტეტის მიერ სამეცნიერო–კვლევით დაწესებულებებთან ხელშეკრულებით ან მემორანდუმით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ნებადართულია არასაუნივერსიტეტო გრანტებსა და პროექტებში მონაწილეობა)“, ჩაიწეროს სიტყვები „(გარდა კანონის საფუძველზე სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების სამეურვეო საბჭოს წევრებისა, რომელთაც გააჩნიათ მხოლოდ ჰონორარისა და კანონით განსაზღვრული ფუნქციების შესრულების ხარჯების ანაზღაურების უფლება, ასევე გარდა უნივერსიტეტის მიერ სამეცნიერო–კვლევით დაწესებულებებთან ხელშეკრულებით ან მემორანდუმით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ნებადართულია არასაუნივერსიტეტო გრანტებსა და პროექტებში მონაწილეობა).“.

2. დადგენილების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება დაევალოს თსუ კანცელარიას.

3. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.

4. დადგენილება ძალაში შევიდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ალექსანდრე კვიტაშვილი
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი

დადგენილება №127/2012
17 დეკემბერი, 2012

„ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 22 თებერვლის №12/2012 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 28 დეკემბრის №208/ნ ბრძანებით დამტკიცებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე–8 მუხლის პირველი პუნქტის „ჩ“ ქვეპუნქტისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 13 მარტის №17/2012 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ხ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 22 თებერვლის №12/2012 დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1–ის მე–3 მუხლის მე–3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) სიმონ ყაუხჩიშვილის სახელობის სამკითხველო დარბაზი.“.

2. დადგენილებით მიღებული საკითხი დასამტკიცებლად გადაეცეს თსუ წარმომადგენლობით საბჭოს.

3. დადგენილების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება დაევალოს თსუ–ის კანცელარიას.

4. დადგენილება ძალაში შევიდეს გამოცემისთანავე.

ალექსანდრე კვიტაშვილი
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი

დადგენილება №118/2012
10 დეკემბერი, 2012

ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 28 დეკემბრის №208/ნ ბრძანებით დამტკიცებული „არასამეწრამეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე–8 მუხლის პირველი პუნქტის „ძ“ ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 13 მარტის №17/2012 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ჰ“ ქვეპუნქტისა და თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 06.12.2012 №31635/02 წერილის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. მიღებულ იქნეს ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება (დანართი №1) და დასამტკიცებლად გადაეცეს წარმომადგენლობით საბჭოს.
2. დადგენილების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება დაევალოს თსუ–ის კანცელარიას.
3. დადგენილება ძალაში შევიდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ალექსანდრე კვიტაშვილი
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი

ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის

დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში – ,,უნივერსიტეტი“) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური (შემდგომში – ,,სამსახური“) არის უნივერსიტეტის მართვის ორგანო.

2. სამსახური თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და წინამდებარე დებულებით.

3. სამსახურის დებულებას იღებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო და ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.

მუხლი 2. სამსახურის საქმიანობის სფერო, ძირითადი ამოცანები და ფუნქციები

1. სამსახურის საქმიანობის სფერო და ძირითადი ამოცანებია:

ა) უნივერსიტეტში სწავლებისა და კვლევის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობა;

ბ) უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობის შეფასება;

გ) რეკომენდაციების შემუშავება უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობის სრულყოფის მიზნით;

დ) ავტორიზაციისა და აკრედიტაციისთვის თვითშეფასების პროცესის ორგანიზება;

ე) სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა;

ვ) საერთაშორისო თანამშრომლობის და საერთო ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში უნივერსიტეტის ინტეგრაციის ხელშეწყობა.

2. სამსახურის ფუნქციებია:

ა) ხარისხის უზრუნველყოფის საუნივერსიტეტო პოლიტიკის, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებისა და პროცედურების, სწავლებისა და კვლევის შეფასების წესის შემუშავება;

ბ) თანამშრომლობა საზღვარგარეთის ქვეყნებისა და მათი უნივერსიტეტების შესაბამის სამსახურებთან ხარისხის კონტროლის გამჭვირვალე კრიტერიუმებისა და მათი უზრუნველყოფის მეთოდოლოგიის ჩამოსაყალიბებლად;

გ) სასწავლო პროცესთან, სამეცნიერო კვლევებთან, ავტორიზაციასა და აკრედიტაციასთან დაკავშირებული უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტების პროექტების შემუშავების ორგანიზება და კოორდინირება;

დ) მონაწილეობა სასწავლო პროცესთან, სამეცნიერო კვლევებთან, ავტორიზაციასა და აკრედიტაციასთან დაკავშირებული უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტების პროექტების შემუშავების პროცესში;

ე) პროფესიული, საბაკალავრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის, სამაგისტრო, სადოქტორო, უწყვეტი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების ტექნიკური მონიტორინგისა და აკადემიური ექსპერტიზის კრიტერიუმებისა და ინდიკატორების შემუშავება;

ვ) პროფესიული, საბაკალავრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის, სამაგისტრო, სადოქტორო, უწყვეტი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების სისტემატური ტექნიკური მონიტორინგის ორგანიზება შემუშავებული კრიტერიუმებისა და ინდიკატორების საფუძველზე;

ზ) პროფესიული, საბაკალავრო, დიპლომირებული მედიკოსის, სამაგისტრო, სადოქტორო, უწყვეტი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების პერიოდული აკადემიური (მათ შორის საერთაშორისო) ექსპერტიზის ორგანიზება ქართველ და უცხოელ ექსპერტებთან თანამშრომლობით;

თ) რეკომენდაციების წარდგენა საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებისთვის (კოორდინატორებისთვის) პროფესიული, საბაკალავრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის, სამაგისტრო, სადოქტორო, უწყვეტი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფის მიზნით;

ი) საგანმანათლებლო პროგრამების ტექნიკური მონიტორინგისა და აკადემიური ექსპერტიზის გარე შეფასების განმახორციელებელი უფლებამოსილი დაწესებულების შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის რეკომენდაციების შედეგად, უნივერსიტეტის ფაკულტეტებისა და აკადემიური საბჭოსთვის რეკომენდაციების წარდგენა საგანამანათლებლო პროგრამების შემდგომი სრულყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა თაობაზე;

კ) სტუდენტების გამოკითხვის კითხვარების შემუშავების ორგანიზება და კითხვარების შემუშავებაში მონაწილეობა;

ლ) სტუდენტების სისტემატური გამოკითხვის და გამოკითხვის შედეგების დამუშავების ორგანიზება და გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავება;

მ) სტუდენტთა შეფასებების ანალიზის საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავება უნივერსიტეტის ფაკულტეტების, აკადემიური საბჭოს წინაშე სასწავლო პროცესში არსებული პრობლემების მოგვარების მიზნით;

ნ) სტუდენტების კრედიტების აღიარებასთან დაკავშირებული წერილობითი მომართვების განხილვა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება ფაკულტეტების ადმინისტრაციის მიმართ;

ო) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის - დიპლომის დანართის შევსების წესის შემუშავებასა და უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა დიპლომის დანართის შედგენისა და მომზადების პროცესში მონაწილეობა;

პ) კონფერენციების, ტრენინგების, სემინარების, საკონსულტაციო და საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, ავტორიზაციასა და აკრედიტაციასთან დაკავშირებულ აქტუალურ საკითხებზე;

ჟ) საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის პროცესის ორგანიზება;

რ) უნივერსიტეტის მატერიალურ–ტექნიკური ბაზის შესაბამისობის დადგენა ავტორიზაციის სტანდარტებთან და რეკომენდაციების წარმოდგენა ადმინისტრაციის ხელმძღვანელისთვის მატერიალურ–ტექნიკური ბაზის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის თაობაზე;

ს) ადმინისტრაციული (დამხმარე)/აკადემიური პერსონალის შეფასების კითხვარის შემუშავებაში მონაწილეობა;

ტ) ადმინისტრაციული (დამხმარე)/აკადემიური პერსონალის შეფასების მიზნით ჩასატარებელი გამოკითხვის და გამოკითხვის შედეგების დამუშავების ორგანიზება, შედეგების გაცნობა შესაბამისი სტრუქტურებისათვის, შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავება უნივერსიტეტის ფაკულტეტებისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციისათვის მათი საქმიანობის შემდგომ სრულყოფასთან დაკავშირებით;

უ) ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარის და ავტორიზაციისა და აკრედიტაციის თვითშეფასების წლიური ანგარიშებისათვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადების ორგანიზება;

ფ) სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში აკადემიური საბჭოს დადგენილებების და რექტორის სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება;

ქ) ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციური საქმიანობის განმსაზღვრელი ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტის შემუშავება, გამოცემა და მის შესრულებაზე კონტროლი;

ღ) უნივერსიტეტის წესდებით, რექტორის სამართლებრივი აქტებით, აკადემიური საბჭოს დადგენილებებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილების განხორციელება კომპეტენციის ფარგლებში.

მუხლი 3. სამსახურის სტრუქტურა და ხელმძღვანელობა

1. სამსახური არის უნივერსიტეტის მართვის ორგანო, რომელსაც ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი.
2. სამსახურის უფროსს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.
3. სამსახურის უფროსი არის ადმინისტრაციული თანამდებობის პირი.
4. უნივერსიტეტის საშტატო განრიგით სამსახურისათვის განსაზღვრული თანამდებობებია: სამსახურის უფროსი, სამსახურის უფროსის მოადგილე, სამსახურის მთავარი სპეციალისტი, სამსაურის უფროსი სპეციალისტი.
5. სამსახურის უფროსის დროებით არყოფნის შემთხვევაში (შვებულება, მივლინება, ავადმყოფობა, დროებით - 2 დღეზე მეტი ვადით არყოფნა) მის მოვალეობას ასრულებს სამსახურის უფროსის მოადგილე.
6. სამსახურის უფროსი:

ა) წარმართავს სამსახურის საქმიანობას უნივერსიტეტის წესდებისა და სამსახურის დებულების შესაბამისად;

ბ) გამოსცემს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციური საქმიანობის განმსაზღვრელ ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს;

გ) გამოთქვამს თანხმობას, ფაკულტეტის საბჭოს მიერ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე დასანიშნად წარდგენილი კანდიდატურის მიმართ;

დ) წარმოადგენს სამსახურს დაკისრებული უფლება-მოვალეობების განხორციელებისას და პასუხისმგებელია სამსახურზე დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებაზე;

ე) ანაწილებს მოვალეობებს სამსახურის თანამშრომლებს შორის. აძლევს მათ მითითებებსა და დავალებებს.

ვ) ხელმძღვანელობს სამსახურის მოკლე და გრძელვადიანი სამუშაო გეგმების შემუშავებასა და მათ შესრულებას;

ზ) სამსახურის შიდა სტრუქტურის, შტატების, დეპარტამენტის თანამშრომელთა წახალისების ან დისციპლინური (ან სხვა სახის) გადაცდომისას პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ წარუდგენს წინადადებებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს;

თ) უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების მონაწილე სტუდენტების შერჩევის პროცესში;

ი) წარმოადგენს სამსახურს უნივერსიტეტის სხვა მართვის ორგანოებთან, ფაკულტეტებთან და სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან, ხოლო თავისი კომპეტენციის ფარგლებში, უნივერსიტეტის რექტორთან შეთანხმებით წარმოადგენს უნივერსიტეტს მესამე პირებთან ურთიერთობისას;

კ) სამსახურის უფროსი თავისი უფლებამოსილების ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს - ბრძანებას;

ლ) ახორციელებს უნივერსიტეტის წესდებით, ამ დებულებით და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

7. სამსახურის უფროსის მოადგილე, თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

ა) ხელს უწყობს სამსახურის უფროსს მასზე დაკისრებული მოვალეობების განხორციელების დაგეგმვა-კოორდინაციაში და ორგანიზაციაში;

ბ) მონაწილეობს სამსახურში შემოსული მასალების განაწილებაში;

გ) ორგანიზებას უწევს სამსახურის ეგიდით დაგეგმილ ღონისძიებებს;

დ) ახორციელებს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულებისათვის სამსახურებრივი საკითხების შესახებ კონსულტაციის გაწევას;

ე) სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებით ასრულებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, რექტორის, სამსახურის უფროსის უშუალო დავალებებს;

ვ) ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, რექტორის, სამსახურის უფროსის დავალებებით ახორციელებს სხვა უფლებამოვალეობებს.

8. სამსახურს შეიძლება ჰყავდეს სამსახურის წევრი, რომელიც საქმიანობას ახორციელებს ანაზღაურების გარეშე, უნივერსიტეტთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში.

მუხლი 4. სამსახურის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

სამსახურის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 5. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

წარმომადგენლობითი საბჭოს ოქმი №7, დანართი 10.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის წარმომომადგენლობითი საბჭოს სპიკერს
ბ-ნ. კახაბერ ლორიას

ბატონო კახაბერ,

ა(ა)იპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკუკლტეტის დეკანმა დ. თვალთვაძემ მოგვმართა წერილით (დოკ.№33211/02, 21.12.2012, თან ერთვის), სადაც ითხოვს ფაკულტეტის დამხმარე პერსონალში გამოიყოს პროფესორის ასისტენტის რამდენიმე საშტატო ერთეული (უფროსი ლაბორანტებისა და ლაბორანტების ვაკანსიების ხარჯზე).

აღნიშნულიდან გამომდინარე ფაკულტეტის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სტრუქტურა ჩამოყალიბდება შემდეგი სახით:

ადმინისტარციული პერსონალი

დეკანი

დეკანის მოადგილე

დამხმარე პერსონალი

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

დეკანის თანაშემწე

სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი

სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი

რესურსების მართვის სამსახურის უფროსი

კანცელარიის უფროსი

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი სპეციალისტი

რესურსების მართვის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

კანცელარიის უფროსი სპეციალისტი

პროფესორის ასისტენტი

უფროსი ლაბორანტი

ლაბორანტი

გთხოვთ, ზემოაღნიშნული ცვლილების დამტკიცებას წარმომადგენლობითი საბჭოს უახლოეს სხდომაზე.

პატივისცემით,

თსუ რექტორი ალექსანდრე კვიტაშვილი

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი დავით ჩომახიძე